

გზამკვლევი

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის

(დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის 15.07.2022 წლის N01-02/173 ბრძანებით და განახლებულია 30.01.2023 წლის მდგომარეობით)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ-ში) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება 2011 წლიდან. პროგრამების განხორციელების მოქნილი და ეფექტური სისტემის შექმნის მიზნით ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით 2018 წლის 5 ოქტომბრიდან შეიქმნა დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - „ცენტრი“).

ცენტრის საკონტაქტო ინფორმაცია:

ბსუ-ს ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge) შემდეგ ველში - <https://bsu.edu.ge/sub-54/news/index.html> ელექტრონული ფოსტა - vocational@bsu.edu.ge
სოციალური ქსელი - <https://www.facebook.com/BSUVocationalPrograms>

ცენტრის საქმიანობის მიმართულებებია:

- ა) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვა;
- ბ) უწყვეტი განათლება.

პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით ცენტრის მიზნებია:

- ა) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში მონაწილეობის მიღება;
- ბ) ინდივიდის პროფესიული განვითარების, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

უწყვეტი განათლების მიმართულებით ცენტრის მიზნებია:

- ა) აბიტურიენტებს/სტუდენტებს საშუალება მისცეს უმაღლესი აკადემიური განათლების მიღების საფუძვლის შექმნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;
- ბ) ბსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს, საშუალება მისცეს პროფესიული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარების შექმნისათვის.

ცენტრის ადმინისტრაციული საქმიანობისა და სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ძირითადად განსაზღვრულია ბსუ-ს N6 კორპუსი (ქ. ბათუმი, ლეონიძის N15) განთავსებული ინფრასტრუქტურა (სამუშაო ოთახები, აუდიტორიები, IT

ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები, კომპიუტერული ტექნიკა, ინვენტარი, ავეჯი, სხვა სასწავლო და მატერიალური რესურსი). შენობას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის შესაბამის პირობებს.

ცენტრის/სასწავლო შენობა მოიცავს თეორიული სწავლებისა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებს, ადმინისტრაციულ სივრცეს, სამუშაო სივრცეს პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელ სივრცეს, ბიბლიოთეკას, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამის კაბინეტებს, სივრცეს არქივისთვის. სანიტარიულ კვანძებს (რომლებიც მუდამ მარაგდება წყლით, აქვთ უწყვეტი განათება და ვენტილაცია). შენობა სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. შენობას ასევე დამონტაჟებული აქვს პანდუსი, შშმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც განთავსებულია შენობის ორ სართულზე და ლიფტი. შენობის ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი სპეციფიკური მიზნებისთვის გამოყენებული განათება, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. სათავსოებისა და სივრცის განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

თავი I.

ტერმინთა განმარტებები

პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესში გამოყენებული ტერმინები განმარტებულია საქართველოს კანონით „**პროფესიული განათლების შესახებ**“ (იხილეთ საკანონმდებლო მაცნეს გვერდზე - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=6>)

ა) **ავტორიზაცია** – კოლეჯის სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

ბ) **არაფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას;

გ) **ასოცირებული ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელიც პირს ენიჭება მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვების შედეგად;

დ) **დიპლომი** – უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) **დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის

დასადასტურებლად;

ვ) **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

ზ) **ინკლუზიური პროფესიული განათლება** – თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;

თ) **კვალიფიკაცია** – უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;

ი) **კომპეტენცია** – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა;

კ) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;

ლ) **მოდული** – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;

მ) **მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა** – ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების

შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე;

ნ) **მსმენელი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების

პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე; ო) პროფესიის სტანდარტი – კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებული ამოცანებისა დამოვალეობების ერთობლიობა;

პ) **პროფესიული განათლება** – განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პირისთვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც/რომლებსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და რომელიც/რომლებიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ;

ჟ) **პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი** – დიპლომი, სერტიფიკატი;

რ) **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი** – იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები;

ს) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

ტ) **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი** – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის

საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში); უ) **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ვ) პროფესიული სტუდენტის მობილობა – პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

ქ) რეგულირებადი პროფესია – საქმიანობა, რომლის განხორციელების წინაპირობაა შესაბამისი კვალიფიკაციის ქონა ან/და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და რომლის განსახორციელებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან/და პერიოდული პროფესიული გადამზადება;

ღ) საგანმანათლებლო დაწესებულება – საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ნებისმიერი სახის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისა და პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მქონე კოლეჯი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

ყ) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით);

შ) სასწავლო საწარმო – პირი, რომელმაც მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების უფლება;

ჩ) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდული – საგანმანათლებლო პროგრამა/მოდული, რომლის მიზანია სახელმწიფო ენის სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის დამლევის მიზნებისთვის ან/და იმ პირთა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის;

ც) სერტიფიკატი – უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას;

დ) **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი** – პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

წ) **სწავლის შედეგი** – განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ;

ჭ) **ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემა** – ღონისძიებათა ფართო სპექტრი, რომელიც პირს ეხმარება, ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა;

ხ) **ფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას

თავი II.

პროფესიული განათლება და ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული განათლება ხორციელდება:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, რომლის სახეებია:

- 1.1. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

- 1.2. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
- 1.3. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
2. პროფესიული მომზადების პროგრამით, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს;
3. პროფესიული გადამზადების პროგრამით, რომლის მიზანია კომპეტენციების შექმნა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს.

ბსუ-ში ხორციელდება შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: 1. საფინანსო სერვისები; 2. ბუღალტრული აღრიცხვა; 3. სატყეო საქმე; 4. მეფუტკრეობა; 5. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა; 6. საბიბლიოთეკო საქმე; 7. მეზღაპეობა;

2022 წელს დამტკიცდა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: აღმზრდელი; საექთნო განათლება; ასევე იგეგმება ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

ბსუ-ში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრული ჩამონათვალი განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე (ველი „საგანმანათლებლო პროგრამები“ - <https://bsu.edu.ge/sub-54/program/1/index.html>)

ბსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის N 06-01/07 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge ; ვებგვერდის ველი - „იურიდიული ცნობარი“ ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_11834_1.pdf).

თავი II.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურები, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხები რეგულირდება/განისაზღვრება **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“** (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge; ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9686_1.pdf)

პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარიმართება/პროგრამა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო განრიგის/ცხრილის შესაბამისად, რომელიც მტკიცდება ცენტრის წარდგინებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით. **სასწავლო ცხრილით** განისაზღვრება თეორიული/პრაქტიკული მეცადინეობების, საწარმოო პრაქტიკის დაწყების/დასრულების და კვალიფიკაციის მინიჭების თარიღები. ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება ცენტრის საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

პროფესიულ სტუდენტთათვის მეცადინეობები ტარდება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შაბათი, როგორც სასწავლო დღე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (**შემდეგში - სსსმ**) პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრირება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში შესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

სსსმ სტუდენტისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს **ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას**. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის

დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

თავი IV.

პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგები, შეფასება და გასაჩივრება

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგის შეფასების წესი განსაზღვრულია ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge; ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9686_1.pdf)

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.

სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით. სწავლის შედეგის მიღწევა ერთი პროგრამის ფარგლებში დასტურდება მხოლოდ ერთხელ. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ხოლო მიმდინარე და შუალედური შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.

ა) **განმავითარებელი შეფასება** - მოდულის განმახორციელებელი პირის (პროფესიული განათლების მასწავლებელი) გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია განმავითარებელი შეფასების პრინციპის შესახებ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს;

ბ) **განმსაზღვრელი შეფასება** - ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის

გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: 1. სწავლის შედეგი დადასტურდა; ან 2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულის მიმდინარეობის პროცესში.

სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში უნდა დადასტურდეს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები. აღნიშნულის არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და მას არ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს ცენტრს და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, სხვა შემთხვევაში, განმეორებით/დამატებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობა ითვლება სწავლის შედეგის მიუღწევლობად. ცენტრის დირექტორი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი/დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს, წინმსწრები მოდულის/მოდულების გათვალისწინებით.

ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება განმეორებითი შეფასების ორგანიზება, ცენტრი უფლებამოსილია ბსუს რექტორის ბრძანების საფუძველზე ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სსსმ პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დამლევის გარეშე.

შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასება ჩატარდეს ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ან რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად შეფასდეს.

შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება შეფასების ჩატარების დღიდან **მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში**.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შეფასების შედეგი გაასაჩივროს წერილობითი განცხადებით (აპელაცია), მისი გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. სტუდენტის განცხადების/აპელაციის კომისიური წესით განხილვის მიზნით ცენტრის

დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე 2 სამუშაო დღის ვადაში გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ (შემადგენლობაში შედიან: ცენტრის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და სხვა). გასაჩივრების ვადის დარღვევით შემოსული პროფესიული სტუდენტის განცხადება/აპელაცია დარჩება განუხილველი და აღნიშნულის შესახებ ცენტრის მიერ წერილობით ეცნობება პროფესიულ სტუდენტს.

კომისია 2 სამუშაო დღეში განიხილავს პროფესიული სტუდენტის შეფასების აპელაციის საკითხს და შესაძლოა დაევალოს პროფესიული განათლების მასწავლებელს პროფესიული სტუდენტის ხელახალი შეფასება. კომისიის გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღეში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. აპელაციის შედეგად დანიშნული შეფასებისას პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეცვალოს შეფასების ინსტრუმენტი.

თავი V.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და აღდგენის წესი განსაზღვრულია ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge; ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9686_1.pdf)

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება, მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);
- ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისა);
- დ) პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა;
- ე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება ბსუ-სა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობის შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეწყვეტის გარეშე;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა (სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული

პატიმრობა ან სხვა), რაც გამორიცხავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესში მონაწილეობას და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული საფუძვლებით პროფესიულმა სტუდენტმა სტატუსის შეჩერების მოთხოვნის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს ბსუ-ს რექტორს.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური პროგრამის) შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა უნდა შეთანხმდეს შესაბამის სასწავლო საწარმოსთან.

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდგომ, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემას.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულება (პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება);
- გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა;
- დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
- ე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის ვადის გასვლა;
- ვ) გარდაცვალება;
- ზ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა და გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წერილობითი ინფორმაციის უნივერსიტეტისათვის წარმოუდგენლობა;
- თ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის არსებობისას ცენტრის დერექტორის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება პროფესიული განათლების

მართვის საინფორმაციო სისტემაში.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI.

პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება

პროფესიული სტუდენტის მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების რეგულაცია აღნიშნულია ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებით დამტკიცებულ „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge; ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9686_1.pdf)

მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა იმ პროფესიული სტუდენტებისა, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა და შესაბამისად, მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად. ამ კატეგორიის სტუდენტების შემთხვევაში დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

მობილობა ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ბსუ-ს რექტორს.

კრედიტების აღიარებისათვის მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა

სტუდენტის სტატუსისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ (გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების დამოწმებული სია).

პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ბსუ-ში ხორციელდება ცენტრის ადმინისტრირებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. კომისიის გადაწყვეტილებაში მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ცენტრი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პირი, რომელიც მოიპოვებს მობილობით ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებას, ვალდებულია წარმოადგინოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია (მისი პირადი საქმისა და საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები) და გააფორმოს ხელშეკრულება.

მობილობის მსურველთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება მობილობის საფუძველზე ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო ან მოკლე ციკლის პროგრამაზე ამ პირის ჩარიცხვის შესახებ და ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება სისტემაში.

უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

ბსუ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტები მიიჩნევიან სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება წინამდებარე თავით დადგენილი პირობები.

თავი VII.

კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის წესს განსაზღვრავს ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge; ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9686_1.pdf)

პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების

საფუძველია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის მიერ სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება და დადასტურება.

სწავლის შედეგი არის განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ.

საკვალიფიკაციო კომისია შეისწავლის სტუდენტის პირად საქმეს, მის შეფასებებს, უფლებამოსილია პროგრამის ხელმძღვანელისგან ან პროფესიული მასწავლებლისგან მოითხოვოს დამატებითი დახასიათება, რეკომენდაცია ან დანიშნოს გასაუბრება პროფესიულ სტუდენტთან.

საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელმაც სრულად აითვისა ან აღიარებული აქვს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

საკვალიფიკაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

საკვალიფიკაციო კომისიის ოქმისა და პროფესიული დიპლომის გაცემის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე მზადდება და გაიცემა დიპლომი.

თავი VIII. პროფესიული სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და პერსონალური მონაცემების დამუშავება

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge; ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9686_1.pdf)

პროფესიულ სტუდენტი უფლებამოსილია:

- ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
- ბ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგი;
- გ) მიიღოს ინფორმაცია (კონსულტაცია) უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების (მოდულების), შეფასების

მეთოდოლოგიის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე;

დ) ისარგებლოს ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ზ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;

თ) სასამართლოში გაასაჩივროს ბსუ-ს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

ი) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და სხვა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებებით.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ბსუ-ს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;

ბ) დაიცვას პროფესიულ სტუდენტსა და ბსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები, ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, ასევე **პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პროფესიული სტუდენტის თანხმობა**, აისახება პროფესიულ სტუდენტთან დადებულ **ხელშეკრულებაში**.

პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე იხსნება მის მიერ უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვების, დადგენილ ვადებში რეგისტრაციის, ხელშეკრულების გაფორმებისა და უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველზე. **პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში განთავსდება ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციით (იხილეთ ბსუ-ს ვებგვერდზე - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_10508_1.pdf)** გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემების შემცველი პირადი დოკუმენტაცია.

პერსონალური მონაცემი (შემდგომში - მონაცემი) - არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს და გამოიყენება უნივერსიტეტის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, უნივერსიტეტი მოქმედებს „**პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ**“ საქართველოს კანონის (იხილეთ ბმულზე - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=23>) შესაბამისად, **შემდეგი პრინციპების დაცვით:**

- ა) სამართლიანობა, გამჭვირვალობა, კანონიერება, მონაცემთა სუბიექტის წინაშე ანგარიშვალეულება და მისი ღირსების დაცვა;
- ბ) მიზნობრიობა - შესაბამისი, მკაფიო და კონკრეტული მიზნის წინასწარი განსაზღვრა;
- გ) პროპორციულობა - მონაცემთა მიზნის შესაბამისი ოდენობით დამუშავება;
- დ) მონაცემთა სიზუსტისა და სისწორის უზრუნველყოფა, მათ შორის, ინფორმაციის მიზნობრივი განახლება ან წაშლა/განადგურება;
- ე) მონაცემთა შესაბამისი ვადით შენახვა;
- ვ) დამუშავების მთელი პროცესის უსაფრთხოდ მიმდინარეობა, მათ შორის, უსაფრთხოების ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების დაცვა.

უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შესახებ ბსუ-ს მიერ მუშავდება შემდეგი პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი, სქესი, განათლების შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეობა, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი, სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის/აქტებში ასახული ინფორმაცია (პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა/სასწავლო პროცესში დაბრუნება, მობილობა, შეწყვეტა), ბსუ-ს შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის დრო;

პროფესიულ სტუდენტს (მონაცემთა სუბიექტს) უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, შევსება, დამატება, იმ შემთხვევაში თუ მონაცემები არაზუსტი ან არასრულია. ასევე **სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების დროებითი შეჩერება (დაბლოკვა)** იმ შემთხვევაში, თუ სადავოა მონაცემთა დამუშავების მიზნები ან/და საფუძვლები, მათი ნამდვილობა ან სიზუსტე. უნივერსიტეტი, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, ახდენს მონაცემთა დაბლოკვას მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.

პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ კანონმდებლობა, განმარტებები და რეკომენდაციები ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე და საინფორმაციო ველებზე:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური: ვებ-მისამართი -
<https://personaldata.ge/ka> ; ტელ: (+995 32) 242 1000 ; E-mail: office@pdps.ge

თავი IX.

საუნივერსიტეტო რეგულაციები წახალისების ღონისძიებების და დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ

ბსუ-ს შინაგანაწესის თანახმად სწავლაში მიღწეული წარმატებისა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი სახეები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემა;
- გ) ადრე შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

წახალისების გამოყენების შესახებ ბრძანებას გამოსცემს ბსუ-ს რექტორი, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, მათ შორის „ბ“ ქვეკუნქტით გათვალისწინებული წახალისების სახის გამოყენების შემთხვევაში - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით.

უნივერსიტეტში დადგენილი ქცევის წესის დარღვევაზე რეაგირების მექანიზმები და დისციპლინური საქმისწარმოების პროცედურები ძირითადად განსაზღვრულია შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

- ა) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს შინაგანაწესი“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge ; ვებგვერდის ველი: „ჩვენ შესახებ“ - „იურიდიული ცნობარი“ - „საუნივერსიტეტო აქტები“ - „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ ; ბმული - <https://bsu.edu.ge/text files/ge file 884 1.pdf>);
- ბ) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ეთიკის კოდექსი“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge ; ვებგვერდის ველი: „ჩვენ შესახებ“ - „იურიდიული ცნობარი“ - „საუნივერსიტეტო აქტები“ - „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ ; ბმული - <https://bsu.edu.ge/text files/ge file 868 1.pdf>);
- გ) ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N01-02/153 ბრძანებით დამტკიცებული „სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge ; ვებგვერდის ველი: „ჩვენ შესახებ“ - „საუნივერსიტეტო აქტები“ - „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“; ბმული - <https://bsu.edu.ge/text files/ge file 15626 1.pdf>)

ბსუ-ს ეთიკის კოდექსის თანახმად ეთიკის ნორმების დარღვევად მიიჩნევა:

- ა) სააუდიტორიო მეცადინეობაზე ან/და სხვა სახის საუნივერსიტეტო ღონისძიებაზე დაგვიანება;
- ბ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელშემლა (ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);
- გ) მოწვევა უნივერსიტეტის შენობაში;
- დ) უნივერსიტეტში ცეცხლსასროლი ან/და ცივი იარაღის შემოტანა ან/და გავრცელება, ალკოჰოლური სასმელის, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება ან/და მოხმარება;
- ე) აზარტული თამაშები;
- ვ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა ან/და გავრცელება, რომელიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
- ზ) ბილწსიტყვაობა ან ძალადობა, სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება პროფესიული სტუდენტთათვის, დასაქმებულის ან უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა, მესამე პირთათვის, ასევე დისკრიმინაციის, მათ შორის შევიწროების/სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული აკრძალვების დარღვევა;
- თ) ინვენტარით სარგებლობის წესების დარღვევა (ინვენტარზე წარწერის გაკეთება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანება);
- ი) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნ არგ ავებ ის დაზიანება;
- კ) იმ პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა, ვისაც უფლება აქვს აღძრას დისციპლინური ღონისძიების გამოყენების საკითხი.

პროფესიული სტუდენტის მიერ **ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დარღვევა** იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ბსუ-ს შინაგანაწესის თანახმად პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ გამოიყენება შემდეგი **დისციპლინური სახდელეები:**

- ა) შენიშვნა;
- ბ) გაფრთხილება;
- გ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა.

ბსუ-ს შინაგანაწესის თანახმად „შენიშვნა“ შეიძლება შეეფარდოს პროფესიულ სტუდენტს რომელმაც:

- ა) ჩაიდინა არაეთიკური ქმედება - ბსუ-ს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტუდენტის ეთიკურ სტანდარტთან შეუსაბამობა;
- ბ) დააზიანა უნივერსიტეტის ქონება, რომლის ღირებულება არ აღემატება 100 ლარს (ასეთ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია აანაზღაუროს უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზიანიც);
- გ) ხელი შეუშალა ან ჩაშალა მეცადინეობა;
- დ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაავრცელა პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის ლიტერატურა, სააგიტაციო ფურცლები და პროკლამაციები;
- ე) დააზიანა მისი ან სხვა პროფესიული სტუდენტის მოწმობა;
- ვ) დააზიანა ბსუ-ს ტერიტორიაზე (შენობებში) გამოქვეყნებული განცხადებები/აქტები;
- ზ) მოიხმარა თამბაქო უნივერსიტეტის ბალანსზე/სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე (მათ შორის ეზოში).

ბსუ-ს შინაგანაწესის თანახმად „გაფრთხილება“ შეიძლება შეეფარდოს პროფესიულ სტუდენტს, რომელიც:

- ა) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოსვლისა და ქცევის წესებს (აკრძალვებს) არღვევს სისტემატურად (ორი და მეტი შემთხვევა);
- ბ) შემოვა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული თრობის მდგომარეობაში;
- გ) ჩაშლის გამოცდას;
- დ) უნებართვოდ აიღებს უნივერსიტეტში დაცულ დოკუმენტაციას ან/და გაანადგურებს მათ;
- ე) დააზიანებს უნივერსიტეტის ქონებას, თუ ზარალი აღემატება 100 ლარს (ასეთ შემთხვევაში დამრღვევ პირს დისციპლინურ სახდელთან ერთად დაეკისრება უნივერსიტეტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაც);
- ვ) დისციპლინური სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში კვლავ ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას.
- ზ) ჩაიდენს არაეთიკურ ქმედებას - ბსუ-ს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტუდენტის ეთიკურ სტანდარტთან შეუსაბამობა;
- თ) დაარღვევს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ აკრძალვას, რაც ბსუ-ს შინაგანაწესის ან/და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი“ გათვალისწინებული დისციპლინური საქმისწარმოების/მოკვლევის შედეგად შეფასდება, როგორც მძიმე კატეგორიის დარღვევა/გადაცდომა.

ბსუ-ს შინაგანაწესის თანახმად უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სახელი, შეეფარდება პროფესიულ სტუდენტს, შემდეგი ეთიკური გადაცდომის შემთხვევებში:

- ა) დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ან/და ნებართვის გარეშე გამოიყენებს (ხელყოფს) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (გაფრთხილების მიუხედავად განაგრძობს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ან სხვა ფართის სარგებლობას ან/და იმ კომპიუტერული ან სხვა ტექნიკის გამოყენებას, რომელიც არ არის განკუთვნილი სტუდენტთა მოხმარებისათვის);

ბ) გამოცდაზე შევა სხვა პროფესიული სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა პირს;

გ) გამოიყენებს ან/და სხვას მიაწვდის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომხმარებლის პირად ინფორმაციას (პაროლი და კოდი) ან/და საგნის ლექტორის ნაცვლად აწარმოებს თავის თვის ან სხვა პროფესიული სტუდენტისათვის შეფასებას (აღრიცხავს).

დ) დაარღვევს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ აკრძალვას, რაც ბსუ-ს შინაგანაწესის ან/და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი“ გათვალისწინებული დისციპლინური საქმისწარმოების/მოკვლევის შედეგად შეფასდება, როგორც მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევა/გადაცდომა.

პროფესიული სტუდენტის მხრიდან სექსუალური შევიწროების აკრძალვის სავარაუდო დარღვევის საკითხთან დაკავშირებული დისციპლინური საქმისწარმოება ხორციელდება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N01-02/153 ბრძანებით დამტკიცებული „სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი“ (იხილეთ ბმულზე - <https://bsu.edu.ge/text files/ge file 15626 1.pdf>) შესაბამისად, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, რა დროსაც სტუდენტი/მსმენელი სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსითა და წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული უფლებებით.

სექსუალური შევიწროების საკითხზე პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან საკონტაქტო პირია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი მადონა მიქელაძე (ელ.ფოსტა madona.mikeladze@bsu.edu.ge).

თავი X .

მატერიალური, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობა და სტუდენტთა მხარდაჭერის/სხვადასხვა საუნივერსიტეტო სერვისები

1. მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა:

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და პერსონალისათვის ბსუ უზრუნველყოფს **მატერიალური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობას**, ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, სტრუქტურული ერთეულების დებულებების და შესაბამისი მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო (ფუნქციითა) აღწერილობის შესახებ სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ბსუ-ს შინაგანაწესის თანახმად, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, შენობებში

(კორპუსებში) და ტერიტორიაზე განთავსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურ წარმართვას, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას (არსებობს თეორიული სწავლების აუდიტორიები/სასწავლო კაბინეტები; სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის; ბიბლიოთეკა, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობით; საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები; პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი; საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა, არქივი, შესაბამისი მარაგები (რეაქტივები, სასწავლო მასალები და სხვა), ადმინისტრაციული სათავსოები, სანიტარიული კვანძები, ფოიე, საერთო სარგებლობის სივრცეები და სხვა; უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში/კორპუსებში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა).

სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის (შემდეგში - სსმ პირი) უნივერსიტეტს აქვს ადაპტირებული გარემო (მათ შორის: პანდუსები, ლიფტი და სხვა). სსმ პირს შეუძლია შენობაში თავისუფლად ორიენტაცია და გადაადგილება, რასაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის/დაცვის განყოფილების/შესაბამისი პერსონალი.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის, საერთო სარგებლობის სივრცეების, საერთო საცხოვრებელის და მატერიალური რესურსების უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას ახორციელებს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობისა და პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო **ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის**, მასალებით და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრის უფლებამოსილი დასაქმებული (სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი ან/და მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სხვა დასაქმებული, მათი კომპეტენციის ფარგლებში), უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობით და ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით (ვიზირებით) წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ამ სტუქტურული ერთეულების დებულებების შესაბამისად.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი სასწავლო/სამუშაო პროცესის განმავლობაში შეუზღუდავად ხელმისაწვდომია სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და პერსონალისათვის, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირის/ხელმძღვანელის ნებართვით/ინფორმირებით, მათ შორის ლაბორატორიებში/პრაქტიკული მეცადინეობისათვის განსაზღვრული სასწავლო რესურსით/ინვენტარით სარგებლობა დასაშვებია უსაფრთხოების ნორმების დაცვით და შესაბამისი სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტის წარმართვაზე პასუხისმგებელი

პირის მონაწილეობით/დასწრებით.

2. საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობა:

ბსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსებს შეადგენს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები, საბიბლიოთეკო კოლექციები (სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნადი და არაწიგნადი ფონდი: სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, კარტოგრაფიული და საცნობარო გამოცემები, ელექტრონული რესურსები და ა.შ.); ელექტრონული ბიბლიოთეკა (ელექტრონული წიგნები და პერიოდული გამოცემები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები; ელექტრონული სამეცნიერო ბაზები).

ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა არის ბსუ-ს სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი ამოცანაა საგანმანათლებლო-სამეცნიერო და საინფორმაციო ფუნქციების შესრულება, ბსუ-ს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, პერსონალისათვის (შემდეგში - მკითხველი ან მომხმარებელი) როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის რეგულაცია განსაზღვრულია ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 24 ივნისის N01-10/70 ბრძანებით დამტკიცებულია „**ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით**“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge, ველში: „ჩვენ შესახებ“ - „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა“ - „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, ბმული <https://bsu.edu.ge/text files/ge file 270 1.pdf>).

ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულ მომხმარებელს ენიჭება საიდენტიფიკაციო კოდი და იქმნება ბსუ-ს ბიბლიოთეკის მომხმარებლის ბარათი. რეგისტრაციის დასრულებამდე ბიბლიოთეკის მომხმარებელი ვალდებულია გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, რასაც ადასტურებს მომხმარებლის ბარათზე ხელმოწერით.

ბიბლიოთეკის აბონემენტით თანაბარ პირობებში სარგებლობა შეუძლიათ ბსუ-ს სტუდენტებს, პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს და პერსონალს.

პირს, რომელსაც სურს ისარგებლოს ბსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსით, უნდა გაიაროს რეგისტრაცია, რისთვისაც უნდა წარმოადგინოს:

- ა) პირადობის მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);
- ბ) ბსუ-ში შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ასლი (ბსუ-ს სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის შემთხვევაში);
- გ) ცნობა სამუშაო ადგილიდან, შრომითი ურთიერთობის ვადის მითითებით (ბსუ-ს დასაქმებულის შემთხვევაში);
- დ) ინფორმაცია საცხოვრებელი მისამართის (ფაქტობრივი და იურიდიული), საკონტაქტო ტელეფონის/მობილური ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა (ელექტრონული ფოსტა - library@bsu.edu.ge) მუშაობს ყოველდღიურად, შემდეგი განრიგით:

ა) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დღეებში, 9:00 საათიდან 20:00 საათამდე; შაბათს - 9:00 საათიდან 17:00 საათამდე - ყველა სამკითხველო დარბაზი (სააბონემენტო მომსახურება);

ბ) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დღეებში, 9:00 საათიდან 18:00 საათამდე - კომპიუტერული დარბაზები (ქ. ბათუმი, ნინოშვილი/რუსთაველის ქ. N 35/32, N51 და N400 აუდიტორიები);

გ) კვირას 10:00 საათიდან 15:00 საათამდე - მხოლოდ დიდი სამკითხველო დარბაზი (ქ. ბათუმი, ნინოშვილი/რუსთაველის ქ. N 35/32, მე-3 სართული).

ბსუ-ს ვებგვერდზე ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის საკონტაქტო ინფორმაცია - <https://bsu.edu.ge/sub-15/news/index.html>

ბსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსი ასევე განთავსებულია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შენობაში - ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. N15, ბსუ-ს N6 კორპუსი და ხელმისაწვდომია ყოველდღე, შაბათ-კვირის და უქმე დღეების გარდა, 9:00 საათიდან 18:00 საათამდე (შესვენება – 13:00 საათიდან 14:00 საათამდე).

3. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა:

ბსუ-ს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომლის ადმინისტრირებას და დოკუმენტაციის (მათ შორის დომენის, ჰოსტინგისა და უსაფრთხოების სერტიფიკატის) შენახვას ახორციელებს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის დებულება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობა ითვალისწინებს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერას აი-ტი ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც მოიცავს აპარატულ და პროგრამულ უზრუნველყოფას, კომპიუტერული ქსელური ინფრასტრუქტურის ინსტალაციას, მონიტორინგსა და მხარდაჭერას.

ბსუ/პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი ატარებს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, არსებობს კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის (ცენტრის შენობაში არის 4 კომპიუტერული კლასი, თითოეულში 21 კომპიუტერი, 1 მასწავლებლის და 20 სტუდენტისათვის), ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, დერეფანში განთავსებულია 3 კომპიუტერი). ცენტრის შენობაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი.

უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დოკუმენტში განსაზღვრულია რისკების მართვის მიზნით გასატარებელი

პროცედურების/ღონისძიებების ჩამონათვალი. უნივერსიტეტის ვებგვერდი და მისი ყველა ქვედომენი დაცულია უსაფრთხოების SSL სერტიფიკატით, IT რისკების პრევენცია ხორციელდება რეგულაციებით გათვალისწინებული დაცვის უფასო სისტემის მეშვეობითაც. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პერიოდულად აუმჯობესებს IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი და კოორდინატორი მონიტორინგს უწევს ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით, ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას და ახდენს მათ შეფასებას (აფასებს როგორც ტექნიკური აღჭურვილობის, ისე IT პროფესიების ეფექტიანობას).

ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების **ინფრასტრუქტურა/კომპიუტერული ტექნიკა, ხელმისაწვდომია:**

- ა) ე.წ. „კომპიუტერულ კლასებში“ - სააუდიტორიო მეცადინეობების პერიოდში (საათებში);
- ბ) დერეფნებში და ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებზე - ნებისმიერ დროს;
- გ) სამუშაო ოთახებში განთავსებულ ტექნიკაზე - შესაბამის პერსონალისათვის;
- დ) უკაბელო ინტერნეტი - ნებისმიერ დროს (არის თავისუფალი, პაროლის გარეშე);
- ე) პროექტორები - სააუდიტორიო მეცადინეობების პერიოდში (საათებში), ასევე ნებისმიერ დროს, საჭიროების შემთხვევაში;
- ვ) ქსეროქსის აპარატები - ბსუ-ს სამუშაო საათებში.

4. საზოგადოებასთან ურთიერთობა

ბსუ მიზანმიმართულად წარმართავს **საზოგადოებასთან ურთიერთობას**. ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდი - www.bsu.edu.ge, ელექტრონული ფოსტა - info@bsu.edu.ge და და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო - საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირება ხორციელდება ქართულ ენაზე ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ.

უნივერსიტეტში არსებული **საჯარო ინფორმაციის გაცემა/პროაქტიული გამოქვეყნება/ბსუ-ს ვებგვერდზე ან/და სოციალურ ქსელებში განთავსება**, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებების/სამუშაო აღწერილობის ან/და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) შემდეგი ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების/დასაქმებულების თანამშრომლობით:

- ა) ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირები: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
- ბ) ფაკულტეტები;
- გ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები;

- დ) მართვის ორგანოების სამდივნოები;
- ე) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი;
- ვ) ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეული/დასაქმებული.

უნივერსიტეტის ვებგვერდის - www.bsu.edu.ge ადმინისტრირება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალის მიერ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად. საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ან სხვა სტრუქტურული ერთეულების/უფლებამოსილი დასაქმებულის მიერ ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის მიწოდებულ წერილობით დოკუმენტში/ინფორმაციაში ასახული პერსონალური მონაცემები სამსახურის დასაქმებულის მიერ იშლება (ტექსტური ფაილების შემთხვევაში) ან იფარება (სკანირებული ფაილების შემთხვევაში).

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მკაფიო, ზუსტ, სრულ, ობიექტურ, სტაბილურ, განახლებულ და ადვილ ხელმისაწვდომობას და ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესის დაკმაყოფილებას, ასევე ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის - www.bsu.edu.ge, ელექტრონული ფოსტის - info@bsu.edu.ge და სოციალური ქსელების (სოციალურ ქსელში ფეისბუქ-გვერდი (facebook) და სხვა სოციალური გვერდის (Instagram, Twitter, YouTube, LinkedIn)) მიერ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციის შესრულებას. სამსახური ხელს უწყობს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ამოცანების შესრულების მიზნით მისი პერსონალი თანამშრომლობს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებთან, მათი კომპეტენციის შესაბამისად (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, ფაკულტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, სასწავლო პროცესის დეპარტამენტი და სხვა სტრუქტურული ერთეულები).

ბსუ-ს სტუდენტების ან პროფესიული სტუდენტების და მათი სასწავლო პროცესის შესახებ ბსუ-ს ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებში, ბსუ-ს პორტალზე განსათავსებელ ინფორმაციას, **ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აწვდის** ბსუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო/სტრუქტურული ერთეული (პროფესიული განათლების მიმართულებით - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი).

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალი ასრულებს სამსახურის დებულებითა და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო (ფუნქციათა) აღწერილობის შესაბამის ფუნქციამოვალეობებს, მათ შორის:

- ახორციელებს უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსების (ოფიციალური

ვებგვერდის, სოციალური ქსელების) და ბსუ-ს საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მართვას და ადმინისტრირებას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურთან, სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან, საქმისწარმოების სამსახურთან, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრთან, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტთან და ბსუ-ს სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობით;

- საკომუნიკაციო საშუალებებით (ელ.ფოსტა/სოც.ქსელი) შემოსულ კითხვებზე სცემს პასუხებს (ან ახორციელებს გადამისამართებას შესაბამისი ადრესატისათვის);
- სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/პერსონალის და სხვა დაინტერესებული პირების ინიციატივების და შენიშვნების შესახებ ახდენს ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინფორმირებას და მიღებული დავალების შესაბამისად ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/პერსონალის ჩართულობით მათ ანალიზს, უკუკავშირის დადებითი ეფექტის მისაღებად და საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით;
- მონაწილეობს უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზაციის (მათ შორის ე.წ. „ღია კარის დღეები“), სასურველი იმიჯის შემუშავების/გამყარებისკენ მიმართული, საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელ სოციალურ პროექტებში ან/და საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებულ სხვა ღონისძიებებში, რექტორთან/ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და შესაბამისი ფაკულტეტის/სტრუქტურული ერთეულის/პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ჩართულობით;
- თანამშრომლობს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ასევე ცენტრის მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ ცენტრის მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული ფოსტის და სოციალური ქსელის მეშვეობით დაინტერესებული პირების ინფორმირების მიმართულებით და ახდენს ცენტრის უფლებამოსილის დასაქმებულის ფუნქციების შესრულების კოორდინაციას;
- **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის** უფროსი ასრულებს სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სამუშაოს, ხელმძღვანელობასა და საერთო კოორდინაციას უწევს სამსახურის დებულებით და სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული სამსახურის ამოცანებისა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას. სამსახურის უფროსი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე/უნივერსიტეტში არსებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე (ელ.ფოსტის მეშვეობით - web@bsu.edu.ge).

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი (ხარისხის მართვის კოორდინატორი) **ბსუ-ს** ვებ-გვერდისა (www.bsu.edu.ge) და **სოციალური ქსელის** (<https://www.facebook.com/BSUVocationalPrograms>) და ელექტრონული ფოსტის

(vocational@bsu.edu.ge) მეშვეობით წარმართავს ცენტრის ურთიერთობას საზოგადოებასთან და უზრუნველყოფს ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირებას. აღნიშნული ფუნქციების შესრულების პროცესში თანამშრომლობს ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან.

5. საერთო საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა:

უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი (ბსუ-ს N7 კორპუსი, მდებარე ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. N15) - არის ბსუ-ს კანონიერ სარგებლობაში არსებული შენობა, რომლითაც შეიძლება ისარგებლოს ბსუ-ს სტუდენტებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა.

ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბსუ-ს პროფესიული სტუდენტი ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით განცხადებით მიმართავს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასური განსაზღვრულია ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 4 მარტის N01-10/18 ბრძანებით (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge ; ვებგვერდის ველი: „ჩვენ შესახებ“ - „იურიდიული ცნობარი“ - „საუნივერსიტეტო აქტები“ - „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“; ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_12825_1.pdf)

საერთო საცხოვრებლის ადმინისტრირება ხორციელდება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის N01-10/95 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესით“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge ; ვებგვერდის ველი: „ჩვენ შესახებ“ - „იურიდიული ცნობარი“ - „საუნივერსიტეტო აქტები“ - „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“; ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_12827_1.pdf).

6. უსაფრთხოება და პირველადი სამედიცინო დახმარება

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, პერსონალის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა, კერძოდ:

- ა) დამტკიცებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და არსებობს შესაბამისი ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას, შენობის ყველა სართულზე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, მისი გამოყენების ინსტრუქციის დეტალური მითითებით და კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები;
- გ) შენობა-ნაგებობებს გააჩნია დამატებითი საევაკუაციო გასასვლელი/გასასვლელები;
- დ) დაწესებულებას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, რომელიც ნიავედება ბუნებრივი წესით, მარაგდება ცხელი და ცივი წყლით;
- ე) შენობების მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა, შენობა-ნაგებობების მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები;

ვ) შენობების მდებარეობა უზრუნველყოფს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და პერსონალის უსაფრთხო და სწავლისათვის შესაბამის გარემოს.

უნივერსიტეტში **უსაფრთხოებისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას**, დროულ და ეფექტურ რეაგირებას წესრიგის დარღვევებზე, ასევე **სახანძრო უსაფრთხოებას, უზრუნველყოფს ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური** (დაცვის განყოფილება), საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ასევე ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით დამტკიცებული დაცვის განყოფილების სამუშაო აღწერილობის და „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციის“ (იხილეთ ბსუ-ს ვებგვერდზე - <https://bsu.edu.ge/text files/ge file 9078 1.pdf>) შესაბამისად.

ბსუ-ს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და პერსონალისათვის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე **პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას** უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები (სამედიცინო პუნქტის პერსონალი/ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში - დამსაქმებლის ბრძანებით განსაზღვრული/შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები).

პირველადი სამედიცინო დახმარების გამწევთა ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 02 დეკემბრის N01-11/79 ბრძანებით დამტკიცებული **„ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციით“** (შემდეგში - „სამედიცინო დახმარების ინსტრუქცია“, განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge ; ვებგვერდის ველი: „ჩვენ შესახებ“ - „სტრუქტურული ერთეულები“ - „მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი“ - „ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქცია“; ბმული - <https://bsu.edu.ge/text files/ge file 9446 6.pdf>), მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის პერსონალის სამუშაო აღწერილობით ან/და შრომითი ხელშეკრულებით/დამსაქმებლის ბრძანებით.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევის (მათ შორის უბედური შემთხვევის) დადგომისთანავე ნებისმიერმა პირმა უნდა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

ა) დროულად მიმართოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირს (ადგილსამყოფელი/კაბინეტი/შესაბამისი ოთახის ნომერი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი განთავსებულია როგორც ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე შესაბამისი კორპუსის საინფორმაციო დაფებზე);

ბ) შეატყობინოს ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს (ადგილსამყოფელი/კაბინეტი/შესაბამისი ოთახის ნომერი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი განთავსებულია როგორც ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე შესაბამისი კორპუსის საინფორმაციო დაფებზე);

- გ) არ გადაადგილოს პირველადი დახმარების საჭიროების მქონე პირი/პაციენტი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირის/სასწრაფო დახმარების მოსვლამდე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.
- დ) აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო ან/და სახანძრო სამსახური (დარეკვა 112 -ზე) ან/და სხვა შესაბამისი სამსახური.

ბსუ-ს N6 კორპუსში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევისათვის საჭირო რესურსი განთავსებულია მე-2 სართულზე, ოთახი N208; დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირებია: ჯილდა აბაშიძე - ტელეფონი: 591 957 662 და მამუკა გოგელია - 577 491 939); ბსუ-ს N1, N2 და N3 კორპუსების სივრცეში არის სამედიცინო დახმარების კაბინეტი: ქ.ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის N35/32, მე-2 კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N100. ტელ.ნომერი: 593 34 54 56

7. გაწევრიანება ბსუ-ს ანსამბლებში (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებით ჯგუფებში და სპორტულ გუნდებში

ბსუ-ს ანსამბლების (ცეკვის,სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნისა და მათში გაწევრიანების რეგულაცია განსაზღვრულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის N05 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ანსამბლების (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნისა და მათი საქმიანობის წესით“ (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge ; ვებგვერდის ველი: „სწავლა“-„სტუდენტთა გზამკვლევი“ - „**დანართი 18**“; ბმული -
<https://bsu.edu.ge/upload/shemoqmedebiti da sportuli jgufebis seqmnis wesi 2017 2018.pdf>).

ბსუ-ს ანსამბლები (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფები და სპორტულ გუნდები იქმნება (შემადგენლობა მტკიცდება) ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

ანსამბლში/ჯგუფში/გუნდში ჩარიცხვისათვის ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უნდა წარედგინოს მსურველის განცხადება და ხელმოწერილი ხელშეკრულება.